

შპს „სკა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის



თბილისი  
2024 წელი

|                                                                          |   |
|--------------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                 | 3 |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება.....                                      | 4 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                                       | 5 |
| ზოგადი ინფორმაცია .....                                                  | 6 |
| ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა ..... | 6 |
| ამონაგების აღიარება: .....                                               | 6 |
| თვითღირებულების აღიარება:.....                                           | 6 |
| სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები: .....                   | 7 |
| მოგების გადასახადი:.....                                                 | 7 |
| სავაჭრო მოთხოვნები: .....                                                | 7 |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები: .....                                 | 7 |
| ძირითადი საშუალებები: .....                                              | 7 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: .....                                     | 7 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები: .....                                       | 8 |
| საწესდებო კაპიტალი:.....                                                 | 8 |

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                       | 31/12/2024        | 31/12/2023       |
|---------------------------------------|-------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                       |                   |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |                   |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 828               | 13,633           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 271,885           | 596,545          |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები     | 427,340           | 846,178          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         | <b>700,052</b>    | <b>1,456,356</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები (ნეტო)           | 4,453,016         | 5,752,720        |
| არამატერიალური აქტივები (ნეტო)        | -                 | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>4,453,016</b>  | <b>5,752,720</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>5,153,068</b>  | <b>7,209,076</b> |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |                   |                  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 1,868,915         | 1,862,873        |
| საგადასახადო ვალდებულებები            | 322,517           | 208,275          |
| დარიცხული ვალდებულებები               | -                 | -                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    | <b>2,191,432</b>  | <b>2,071,148</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |                   |                  |
| გრძელვადიანი სესხები                  | 4,651,942         | 5,052,690        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>4,651,942</b>  | <b>5,052,690</b> |
| <b>კაპიტალი</b>                       |                   |                  |
| საწესდებო კაპიტალი                    | 221,479           | 221,479          |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი           | -1,911,784        | -136,241         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   | <b>-1,690,305</b> | <b>85,238</b>    |
| <b>სულ ვალდებულება და კაპიტალი</b>    | <b>5,153,069</b>  | <b>7,209,076</b> |

სრული შემოსავლების ანგარიშგება

|                                       | 31/12/2024        | 31/12/2023        |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                             | 20,293,521        | 19,900,199        |
| სხვა შემოსავალი                       | -                 | -                 |
| <b>სულ შემოსავალი</b>                 | <b>20,293,521</b> | <b>19,900,199</b> |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | -9,873,620        | -9,639,162        |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | -9,557,847        | -8,812,748        |
| ცვეთა                                 | -699,034          | -589,459          |
| სხვა საოპერაციო ხარჯები               | -                 | -                 |
| <b>საოპერაციო მოგება/ზარალი</b>       | <b>163,020</b>    | <b>858,830</b>    |
| საპროცენტო ხარჯი                      | -432,950          | -294,688          |
| <b>მოგება/ზარალი დაბეგვრამდე</b>      | <b>269,930</b>    | <b>564,142</b>    |
| მოგების გადასახადი                    | -86,304           | -                 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები            | -1,419,309        | -1,424,937        |
| <b>წლის მოგება/(ზარალი)</b>           | <b>-1,775,543</b> | <b>-860,795</b>   |

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

|                                                   | 2024       | 2023       |
|---------------------------------------------------|------------|------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 1,640,715  | 307,384    |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | -54,878    | -3,172,742 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | -1,598,642 | 2,597,165  |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | -12,805    | -268,193   |
| საგაღებო კურსის ეფექტი                            | -          | -          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 13,633     | 281,826    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 828        | 13,633     |

## ზოგადი ინფორმაცია

შპს „სკა ჯგუფი“ (ს/ნ 405267937) შემდგომში „კომპანია“ წარმოადგენს ქართულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2018 წლის 30 აპრილს.

კომპანია „სკა ჯგუფი“ სახელწოდებით ოპერირებს საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა N110ა.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, ჯანსაღი საკვები პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არის შემდეგი:

- გიორგი ტალახაძე, პ/ნ 01024054503, საქართველო, 77%
- ჯეიკობ ალბერტ ჰელარ, პ/ნ 497545828, აშშ, 10%
- შოთა ცისკარაშვილი პ/ნ 01008053870, საქართველო, 13%

შპს „სკა ჯგუფი“ 2024 წლის ბოლოს ბაზარზე წარმოდგენილია 14 ფილიალით, ცენტრალიზებული საწარმოთი და საწყობით.

## ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

### ამონაგების აღიარება:

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებულ ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გათვალისწინებით.

### თვითღირებულების აღიარება:

გაყიდული საქონლის თვითღირებულების აღიარება ხდება საქონლის წარმოების დროს, მასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით და შეწონილი თვითღირებულების გადათვლის მეთოდით.

## სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები:

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

### მოგების გადასახადი:

კომპანია მმოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იხდებდა ე.წ. ესტონური მოდელით, დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს, ან სხვა შინაარსით წარმოადგენს მოგების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს.

### სავაჭრო მოთხოვნები:

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

### სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მოდელს.

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. დამატებით შეძენილი ნაწილი, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ბარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ბარჯებში შესაბამისად.

#### ფული და ფულის ექვივალენტები:

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### საწესდებო კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება მისი დამფუძნებლების მიერ კომპანიაში განხორციელებული ფულადი შენატანებით.

შპს სკა ჯგუფი (ს/ნ 405267937)

გენერალური დირექტორი:

